დასკვნა:**დ03. 3722329001**
თარიღი:**25/11/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 33 649,0 ათასი ლარით და იგი 2022 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიური დონის 121,0%-ია. საბიუჯეტო შემოსავლები დაგეგმილია შემდეგი წყაროებიდან: 1)გადასახადები- 29556,8 ათ. ლარი; 2)სხვა შემოსავლები- 2932,2 ათ. ლარი; 3)გრანტები-310,0 ათ. ლარი; 4) არაფინანსური აქტივების კლება-850,0 ათ. ლარი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტით საბიუჯეტო ასიგნებების საერთო რაოდენობა 29774.1 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

-შრომის ანაზრაურება 4402,0 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 14,8%

-საქონელი და მომსახურება 4168,0 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 14,0%

-სუბსიდიები 17988,0 ათ ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 60,4%

-გრანტები 115,0 ათ ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 0,4%

-სოციალური უზრუნველყოფა 1806,0 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნების 6,0%

სხვა ხარჯები 1200,0 ათ. ლარი ანუ მთლიანი ასიგნებების 4,0%.

არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაზღვრულია 3760,0 ათასი ლარის წარმართვა.

ვალდებულებების კლების (მგფ-ის სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 114,9 ათ. ლარის ოდენობით;

3. 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადით წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების რაოდენობა განსაზღვრულია 7540,0 ათ. ლარით, რაც

2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1740,0 ათასი ლარით მეტია;

პროექტის თანახმად პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსება დაგეგმილია 7 040,0 ათ. ლარით, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებელს 780,0 ათ ლარით აჭარბებს;

სკოლამდელი განათლების დასაფინანსებლად გაანგარიშებულია 6350,0 ათასი ლარი, რაც 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1180,0 ათასი ლარით მეტია.

პროექტის თანახმად 2022 წელთან შედარებით კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში დაიხარჯება 938,0 ათასი ლარით მეტი, ხოლო მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით განსაზღვრულია 2 453,0 ათსი ლარის ხარჯი, რაც 613,0 ათასი ლარით მეტია მიმდინარე წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

4. ბიუჯეტის პროექტში სარეზერვო ფონდის მოცულობა არ სცილდება მოქმედი კანონით განსაზღვრულ სიდიდეს და მისი ოდენობა შეადგენს 350,0 ათას ლარს.

განხილვის პროცესში დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები და რეკომენდაციები:

- საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს ცალკეული პროგრამების დონეზე აკლია კონკრეტიკა. კერძოდ, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს უნდა დაემატოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციის მითითებით. შესაბამისად უნდა გადამუშავდეს პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.

-პროგრამის „სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა“ ფარგლებში მიზანშეწონილია გაიზარდოს ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი „გურია“-ს თანადაფინანსება 4,0-დან 10,0 ათას ლარამდე.

- საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტის ცალკეული ნაწილები და მისი თანმხლები მასალა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ხარვეზით(მუხლი 5; მუხლი 6; მუხლი 7; განმარტებითი ბარათი), რომელიც აუცილებლად უნდა გასწორდეს.

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები სასურველია წარმოდგენილი იყოს განმარტებითი ბარათის სახით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით დაუბრუნდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს.

მარინა ვაშალომიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი